19
ბ03 № 10166
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ნოემბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 210 (9877) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



მარცხნიდან: ბ. პაიჭაძე, მ. სტურუა, ვ. გოცირიძე, მ. ლორთქიფანიძე, ა. დათაშვილი, მ. ჯაფარიძე.



**კიდევ** ერთი თბილისობა მიითვალა დედაქალაქის მატიანემ, რომელმაც დღევანდელობისათვის ადამიანების ერთიანობის, პროგრესისა და მომავლის განახლების ნიშნით ჩაიარა.

ზეიმის გული ძმობის მოედანი იყო. სწორედ აქ მოიყარა თავი ყველაზე მეტმა თბილისელმა და სტუმარმა.

აქვე გამოაცხადეს თბილისის ახალი საპატიო მოქალაქეთა სახელები. საპატიო წოდება მიენიჭათ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მარიამ ლორთქიფანიძეს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მედეა ჯაფარიძეს, გაზეთ „იზვესტიის" პოლიტიკურ მიმომხილველს, ტოლსტოისა და ვოროვსკის პრემიების ლაურეატს მელორ სტურუას, „თბილისგვირაბმშენის" ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელს, სოციალისტური შრომის გმირს ალექსანდრე დათაშვილს, თბილისის „დინამოს" ლეგენდარულ თავდამსხმელსა და კაპიტანს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის პაიჭაძეს, ვეტერან მეტრომშენებელს, სოციალისტური შრომის გმირს ვიქტორ გოცირიძეს.





მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

# ჩემპიონი გამოვლინდა — მატჩი გრძელდება

**მეთოთხმეტე პარტია**

**ნ. იოსელიანი — მ. ჩიბურდანიძე**

**ფილიდორის დაცვა**

1. e4 e5 2. მf3 d6 3. d4 ed 4. მ:d4 მf6 5. მc3 კe7 6. კe2 0-0 7. 0-0 ეe8 8. ეe1 კf8 9. კf1 h6 10. კf4 მbd7 11. h3 a6 12. a4 მe5 13. კh2 კd7 14. f4 მc6 15. მf3 მb4 16. ლd2 კc6 17. a5 კ:e4 18. მ:e4 ე:e4 19. ე:e4 მ:e4 20. ლ:b4 d5 21. ლa4 კc5+ 22. მd4 ლh4 23. მფh1 მf2+ 24. მფg1 მe4 25. მფh1 მf2+.

ყაიმი.

**მაშ** ასე: მატჩის მეთოთხმეტე პარტია ყაიმით დამთავრდა და მაია ჩიბურდანიძემ კიდევ ერთხელ შეინარჩუნა მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკე ქალის სახელი. ახლა იგი უკვე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია. ჩიბურდანიძემ ხუთჯერ ღირსეულად დაიპყრო უმაღლესი მწვერვალი და გაიმეორა ქართველ მოჭადრაკე ქალთა გზის გამკვალავის, ჩვენი საამაყო ნონა გაფრინდაშვილის მიღწევა — პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონიც ხომ ხუთჯერ შეამკეს დედოფლის დაფნის გვირგვინით. მაიამ, როგორც ვიუწყებოდით, 8 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა. მატჩი კი გრძელდება — პაექრობა შეწყდება მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონი დააგროვებს 8,5 ან 9 ქულას, ანდა, თუ პრეტენდენტი გაათანაბრებს ანგარიშს — 8:8. მომდევნო, მე-15 პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

ახლა კი მეთოთხმეტე პარტიას დავუბრუნდეთ, რომელმაც ესოდენ საჭირო ნახევარი ქულა შესძინა მაია ჩიბურდანიძეს.

მსოფლიო ჩემპიონმა ამ მატჩში პირველად მიმართა ფილიდორის დაცვას. დასაწყისში მან, ასე ვთქვათ, მომლოდინე ტაქტიკა აირჩია, მაგრამ ნანა იოსელიანი არ ჩქარობდა, იგი მანევრულად აუმჯობესებდა თავისი ფიგურების განლაგებას. მე-17 სვლაზე ჩიბურდანიძემ პაიკის სანაცვლოდ ფიგურა შესთავაზა მეტოქეს. ამ შეწირვის მიზანი ის იყო, რომ მომავალში იგი მუდმივ ქიშს უცხადებდა მეტოქეს. იოსელიანმა მიიღო შეწირვა და შეეცადა თავიდან აეცილებინა მუდმივი ქიში. ახლა მსოფლიო ჩემპიონმა სხვა გზით (22. ...ლh4) სცადა მიზნის მიღწევა. როგორც ჩანს, პრეტენდენტმა ვერ მონახა უკეთესი გაგრძელება და 25-ე სვლაზე ყაიმი დაფიქსირდა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 8:6 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მე-15 პარტიაში თეთრი ფიგურებით მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს.

**ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.**

თელავი.

# სსრ კავშირის თასი — საქართველოს ფალავნებს

**ლიპეცკი.** აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ათლეტები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული მოჭიდავეები.

სამი ათეული წლის შემდეგ პირველი ადგილი და საპატიო პრიზი ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდები. (დაწვრილებით ამ ტურნირის შედეგებზე „ლელოს" უახლოეს ნომრებში გესაუბრებით).



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის,

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ალმა-ათის „კაირატი".

მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 3:1.

გუშინვე შედგა ტურის სხვა შეხვედრებიც:

**„მეტალისტი" — „დინამო" მ. 1:0**
**„დინამო" მნ. — „სპარტაკი" 0:2**
**„ჟალგირისი" — „ჩერნომორეცი" 2:1**
**„ლოკომოტივი" — „შახტიორი" 2:0**
**„ზენიტი" — „დნეპრი" 0:1**
**„არარატი" — „დინამო" კ. 1:2**
**„ნეფტჩი" — „ტორპედო" 1:1**

## დუბლიორთა მატჩი

**თბილისის** გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ" უმასპინძლა ალმა-ათის „კაირატს".

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 4:1, დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს თევზაძემ — 2, გურულმა და აფციაურმა.

მასპინძლებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჭანტურია, კვიტატიანი (ყიფიანი), დიმიტრაშვილი, მაჭავარიანი, თევზაძე, ჯამარაული, აფციაური, ცვეიბა, ყიზილაშვილი, გურული, ყაველაშვილი (ნემსაძე).

# ეძიებენ თანამშრომლობის გზებს

## გარდაქმნის ექო



არტურ სეიბი.

**„სეიბი"** ცნობილი ამერიკული კორპორაციაა. მისი პრეზიდენტია 41 წლის სიეტლელი ბიზნესმენი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე არტურ სეიბი. „კორპორაცია სეიბი", რომლის დამაარსებელი და ერთადერთი მეპატრონე სეიბი გახლავთ, სიეტლის საქმიანი და სამრეწველო მთელი ნაგებობების ან მშენებარე ობიექტების 45-50 პროცენტის მფლობელია. კორპორაციის შემოსავალი ბოლო ხუთ წელიწადში 500-ჯერ გაიზარდა. სეიბი სიეტლის კეთილი ნების თამაშების (1990 წ.) საორგანიზაციო კომიტეტის წევრია, წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. ამ რამდენიმე თვის წინათ კი საქართველოს მისი დავალებით ეწვია ფირმის ვიცე-პრეზიდენტი ა. დე არმონი, რათა წამოეწყო წინასწარი მოლაპარაკება მსუბუქი მრეწველობის ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა ამერიკისა და ჩვენი რესპუბლიკის დარგის სპეციალისტების შეხვედრა. სტუმრებს რესპუბლიკის სპორტულ მიღწევებზე და პერსპექტივებზე ესაუბრა სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე. კვლავ გაგრძელდა საუბარი მომავალში ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობის შესახებ. საქმე ეხება შესაძლო თანამშრომლობას სპორტული პროდუქციის წარმოებაში და შავი ზღვის სანაპიროზე ამერიკული და საბჭოთა ნაკრები გუნდებისათვის ერთობლივი საწვრთნელი სპორტული ბაზის მშენებლობას.

აღსანიშნავია, რომ არტურ სეიბიმ საქართველოში ყოფნისას სურვილი გამოთქვა სპონსორობა გაუწიოს საქართველოს კუსტარულ-მხატვრული ნამუშევრების გამოფენას, რომელიც დეკემბერში გაიხსნება ნიუ-იორკში.

კვირას, 30 ოქტომბერს, „ლელოში" გამოქვეყნდა საქართველოს რუკა, რომელზეც აღნიშნულია რესპუბლიკის სპორტული ნაგებობები. როგორ ვიყენებთ ამ ბაზებს სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის, როგორ ახორციელებენ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მათთვის მინიჭებულ უფლებებს, როგორ ზრუნავენ ისინი სპორტული ნაგებობების კეთილმოწყობად და ეფექტიანობის ასამაღლებლად?

დღეიდან, როგორც ვიუწყებოდით, ცხადდება სპორტული ბაზების ეფექტიანად გამოყენების რესპუბლიკური დათვალიერება.

უპირველესი და გადაუდებელი ამოცანაა მომზადებული შევხვდეთ ზამთრის სეზონს. დათვალიერება დაიწყო!

## ტელეფაქსი — მოკლედ

**ინდიანაპოლისი.** „ვირჯინია სლიმსის" ტურნირზე წყვილთა შეჯიბრება საბჭოთა ჩოგბურთელებმა ლარისა სავჩენკომ და ნატალია ზვერევამ მოიგეს. ფინალში მათ ამერიკელთა დუეტი (ზინა ჰარისონი და კატრინ ადამსი) დაამარცხეს 6:2, 6:1. ერთეულთა შეჯიბრების ფინალში ბულგარელმა კატერინა მალეევამ ზინა ჰარისონს აჯობა — 6:3, 2:6, 6:2.

**ჰონკონგი.** აქ ჩატარებულ ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს ყველა უძლიერესი გუნდი (სსრ კავშირი, პერუ, კუბა და ჩინეთი) ასპარეზობდა. საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს სამივე მეტოქე (კუბა — 3:0, ჩინეთი — 3:2, პერუ — 3:1) და პირველი ადგილი დაიკავეს.

**ტანდერ-ბეი.** კანადის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ფიგურულ ციგურაობაში სვერდლოვსკელმა ნატალია ლებედევამ და ამერიკელმა ჯილ ტრენერმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს, მაგრამ პირველი ადგილი ნებისმიერი პროგრამის უკეთ შესრულებისთვის საბჭოთა ფიგურისტს მიენიჭა. ვაჟთა შეჯიბრება კანადელმა კურტ ბრაუნინგმა მოიგო.

**ტოკიო.** „ფორმულა-1"-ის ბოლოსწინა ეტაპზე 28 წლის ბრაზილიელმა ავტომობილისტმა აირტონ სენამ იმარჯვა და პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. იაპონიის „გრან-პრის" ტრასაზე (298 კილომეტრი და 809 მეტრი) მან 1:33.26,173 აჩვენა და 13,363 წამით აჯობა მთავარ კონკურენტს ფრანგ ალან პროსტს.

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების პირველი ამხანაგური შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 5:3. მატჩს ადგილობრივ სპორტის სასახლეში 11 ათასი კაცი დაესწრო.

**ტოკიო.** აქ დაიწყო იაპონიის თასის ღია გათამაშება ფრენბურთში ვაჟთა შორის. სასტარტო შეხვედრაში საბჭოთა ნაკრები ოლიმპიურ ჩემპიონთან აშშ-ის გუნდთან დამარცხდა — 2:3. მომდევნო ტურში საბჭოთა და ამერიკელმა ფრენბურთელებმა გამარჯვებები მოიპოვეს. პირველმა აჯობა იაპონიის გუნდს (3:0), მეორემ — არგენტინას 3:0.

## მესამე პრიზიორი

**ბაქო.** აქ ჩატარდა პირველი საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება სამოტოციკლო მრავალჭიდში, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიგო. აღსანიშნავია, რომ 125 კბ. სმ. კლასში მესამე საპრიზო ადგილი საქართველოს წარმომადგენელს სერგეი არაქელიანს ხვდა.

სეულის ოლიმპიადის გმირები

# „ნოველა" ჩემპიონზე სამ ფოტოსურათში

... ყველაზე პატარა იყო ტანით. ყველაზე პატარა იყო ასაკით. ლურჯთვალა, სერიოზული, ძალზე ზრდილი...

მუდამ მეღიმებოდა ლესელიძის პანსიონატ „სპორტში" მივლინებით ან დასასვენებლად ჩასულს ხეივანში თუ პლაჟზე წინ რომ შემომხვდებოდა. უფრო მეტად კი ტანვარჯიშის დარბაზთან ვხვდებოდი ხოლმე — ან სავარჯიშოდ მიდიოდა, ან ვარჯიშიდან ბრუნდებოდა. თუ გზაში ვერ მოვკრავდი თვალს, დარბაზში უნდა ყოფილიყო აუცილებლად.

ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ სასადილოდან გამოსულნი მე და მისი მწვრთნელი არნოლდ კვეტენაძე დავმარტოხელდით.

— ნოლიკო, თქვენი, როგორც სპეციალისტის ალღო, ცხადია, სულ სხვაა, მაგრამ სულ მეეჭვება, ამ ცეროდენა ბიჭისგან მართლა გგონია ტანმოვარჯიშე დადგება? — პირდაპირ ვუთხარი კარგა ხნის მომწიფებული ჩემი „ვერდიქტი".

— ტანმოვარჯიშე უკვე არის, აი, ჩემპიონი კი იქნება... აუცილებლად იქნება.

მწვრთნელის ოპტიმიზმში დავრწმუნდი, როდესაც მიამბო თუ რა მონდომებით, შემართებით („გმირულად"!) ვარჯიშობს პატარა ლადო... თითქმის მთელი დღე.

გადიოდა თვეები, წლები. ვლადიმერ გოგოლაძე იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, იხვეწებოდა მისი ოსტატობა, კლასი. მოვიდა პირველი გამარჯვებაც. ჯერ სულ პატარა. მერე, 1984 წელს, ლადო მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ტაშკენტში. 6 მედალი, მათ შორის 3 ოქროსი მოიპოვა უზბეკეთის დედაქალაქში. იმავე წელს ვ. გოგოლაძემ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მრავალჭიდში მეორე შედეგი აჩვენა, ხოლო თავისუფალ ვარჯიშსა და ძელზე — ჩემპიონი გახდა.

მომდევნო წელს ლადომ კონტინენტის ჩემპიონატზე უკვე მოზრდილთა შორის იასპარეზა და კვლავ წარმატებით — მესამე ადგილები მოიპოვა აბსოლუტურ პირველობასა და ორძელზე. ამას მოჰყვა რიგის, მოსკოვის, აშშ-ის, იაპონიის საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით გამოსვლა, ოქროს მედლები სხვადასხვა იარაღებზე...

და აი, **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი, 22 წლის ვლადიმერ გოგოლაძე, ისევე, როგორც 36 წლის წინათ ჰელსინკის XV ოლიმპიადაზე მზია ჯუღელი, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა გუნდურ შეჯიბრებაში.

ამიერიდან ლადო გოგოლაძე ყველაზე ძვირფას სპორტულ მედალსა და ყველაზე დიდ სპორტულ წოდებას — სპორტის დამსახურებულ ოსტატისას — ატარებს. ბარაქალა შენს გამარჯვებებს, ლურჯთვალა ბიჭო!

**ეს** სურათები, დღეს რომ გთავაზობთ, უკვე ისტორიაა — ისტორია, რომელსაც ღიმილით ვიგონებთ და მოწიწებით ვინახავთ რედაქციაში. **პირველ მათგანზე** შეჯიბრებისათვის გამოსული ნორჩი თბილისელი ტანმოვარჯიშეები არიან. მწკრივში ბოლოს „ტრადიციულად" ლადო გოგოლაძე დგას, რათა არ „ჩამორჩეს" თანაგუნდელებს, მან (დააკვირდით!) ფოტოობიექტივის წინ ეშმაკობა იხმარა — ფეხის ცერებზე აიყალყა და რამდენიმე სანტიმეტრით „აიყარა" ტანი.

**მეორე სურათიც** ასეთივე „სერიიდანაა". შეხედეთ რა მოხდენილად, ტექნიკურად, ძალდაუტანებლად (ღიმილითაც კი) ასრულებს გოგოლაძე თვით რგოლების მეფეთათვისაც ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ილეთს — „ჯვარს". ოღონდ ეს არის, რომ... „ასისტენტობას" ქვემოდან ერთ-ერთი მისი მეგობარი უწევს, მის მხრებზე შემდგარა.

**მესამე სურათზე** ოსტატი და შეგირდია ერთად ალბეჭდილი. ვინ იცის, რაზე ფიქრობდნენ იმ დროს არნოლდ კვეტენაძე (დღეს იგი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელია) და ვლადიმერ გოგოლაძე. ჩემპიონობაზე, ოლიმპიადაზე? არ ვიცით. დარწმუნებული ვართ მხოლოდ ერთში — ფიქრობდნენ... ტანვარჯიშზე!

**ოთარ ნოზაძე.**







განვიხილავთ ნორმატივების პროექტს

# კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი

წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ბევრი სიახლე დაინერგა. ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფიზიკურ მომზადებაში ჩასათვლელი ნორმატივების შემოღებაზე.

ჩასათვლელი ნორმატივების პრესაში გამოქვეყნებისთანავე დიდი დისკუსია გაიმართა — ამ ღონისძიებას ძალიან ბევრი მომხრე გამოუჩნდა, თუმცა მცირე ნაწილი ამ სიახლის წინააღმდეგი იყო.

ჩვენი აზრით, ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფის გზაზე. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მთლიანად ერის გაჯანსაღებას და ფიზიკურ სრულყოფას.

გადავხედოთ სავალალო სტატისტიკას: სკოლის მოსწავლეთა 53 პროცენტი ჯანმრთელობადაქვეითებულია. ბევრი მოსწავლე დაავადებულია სკოლიოზით, გულსისხლძარღვთა დაავადება, ათეროსკლეროზი და დიაბეტი კი საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა" და საშუალო სკოლაშიც „შეაღწია". არადა, როგორც ცნობილია, ამ დაავადებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ზედმეტი წონა და უმოძრაობაა.

ასეთ ვითარებაში ძალზე სასიხარულო იყო აბიტურიენტთა ქრიამულით ახმაურებული სპორტული ბაზების, სკვერების, პარკებისა და ეზოების ხილვა. ამ გამოცოცხლების მიზეზი კი სწორედ აბიტურიენტებისთვის ფიზიკურ მომზადებაში სავალდებულო ჩათვლების შემოღება გახლდათ.

ჩათვლების მიღება სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა. აქ ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ აბიტურიენტს არ ეგრძნო ნერვული დაძაბულობა, რომელიც ყოველგვარ გამოცდებს ახლავს. სხვათა შორის, მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ აბიტურიენტთა ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ **ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლების ჩაბარებამ ხელი შეუწყო მისაღები გამოცდებისათვის მათ ფსიქოლოგიურ მომზადებას,** ისინი გამოცდების პერიოდში ნაკლებად განიცდიდნენ ნერვულ დაძაბულობას.

სამწუხაროდ, ჩათვლებმა ისიც დაგვანახა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია — მიუხედავად იმისა, რომ ჩასათვლელი ნორმატივები გაიოლებული იყო, ზოგიერთმა აბიტურიენტმა მაინც ვერ შეძლო ნორმატივების დაძლევა.

ერთი სიტყვით, ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩაბარება უაღრესად საჭირო ღონისძიება რომ იყო, ამაში ეჭვი, ალბათ, აღარავის ეპარება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უფრო დაიხვეწება ეს სისტემა, ამიტომ გვსურს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ჩასათვლელი ნორმატივების შემუშავებისა და მიღების ორგანიზაციულ მხარეზე.

1. ვფიქრობთ, არ არის საჭირო აბიტურიენტების სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფა, უმჯობესია, ისინი გავანაწილოთ ორ ასაკობრივ ჯგუფად — 16-28 წელი და 29-35 წელი.

2. ნორმატივები მივუსადაგოთ ახალ საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის".

3. ისე, როგორც საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსში, შეირჩეს სისწრაფის, გამძლეობის და ძალის გამოსამუშავებელი ნორმატივები.

4. ნორმატივების პროგრამაში ცურვა შეტანილი იქნას როგორც ერთ-ერთი სავალდებულო ნორმატივის შემცვლელი სახეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დააბრკოლებს ზოგიერთ აბიტურიენტს, ვინაიდან რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არავითარი საშუალება არ არის ცურვის შესასწავლად.

5. ნორმატივების ჩაბარებას უნდა ჰქონდეს ჩათვლის ფორმა და არა შეჯიბრების ხასიათი.

6. ჯანმრთელობადაქვეითებულ აბიტურიენტთათვის დაწესდეს შედარებით იოლი ნორმატივები და მათთვის გაიზარდოს შერჩევითი სახეობები.

7. მისაღები გამოცდების დროს ქულა დაერიცხოს იმ აბიტურიენტს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ჩასათვლელ ნორმატივებს.

8. სასურველი იქნება, ჩასათვლელი ნორმატივები ფიზიკურ მომზადებაში მიიღოს იმ ინსტიტუტის კომისიამ, რომელშიც აბიტურიენტი საბუთების შეტანას აპირებს.

**ბონდო გოლაშვილი,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.**

წერილი რედაქციას

# სად შევიძინოთ ბუცები?

პატივცემულო რედაქციავ! გვჯერა ჩვენს თხოვნას რეაგირების გარეშე არ დატოვებთ. საქმე ეხება სპორტულ ბუცებს — ვინ იცის რამდენ დროს ვკარგავთ მოსწავლეთა მშობლები გალის, ზუგდიდის, ცხაკაიის, ოჩამჩირის, სოხუმის სპორტულ მაღაზიებში სიარულში, საბავშვო ბუცები კი არსადაა, თუნდაც რეზინის ლანჩიანი. დიდი ზომის (42 ნომრის ზევით) კი რამდენიც გნებავთ, იმდენია. მათ ძებნაში ტყუილად ვცვითავთ ფეხსაცმელს.

პატივცემულო რედაქციავ, ვიმედოვნებთ ამ წერილს თუ გამოაქვეყნებთ, ისინიც წაიკითხავენ, ვისაც სპორტული მაღაზიების მომარაგება ევალებათ და იმის იმედიც გვაქვს, თქვენი გაზეთის საშუალებით, პასუხს გაგვცემენ ჩვენთვის ამ მტკივნეულ საკითხზე.

**ვაჟა დზებუაძე,**
**გალის რაიონის საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის პარტიული კომიტეტის მდივანი.**

**ვეხმაურებით პროექტს: 2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები**

# ...და სპორტული ობიექტები

სოფელი რომ ჩვენი სპორტის ერთი მტკიცე ბურჯთაგანია, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ განა ცოტაა ჩვენში ისეთი სოფელი, სადაც ახალგაზრდებს, სპორტულ სექციებში მეცადინეობას ვინ ჩივის, ბურთის გასაგორებელი ხეირიანი ადგილი ან სულ უბრალო საჭიდაო წრეც არა აქვთ? ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებით დავინტერესდი პროექტის იმ ნაწილით, სადაც ნათქვამია: „განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას". მიზანი მართლაც დიდებული დაგვისახავს, მაგრამ სპორტს რატომ ვივიწყებთ? იცოცხლეთ, ბიბლიოთეკაც კარგია, საკლუბო დაწესებულებაც და კინოდანადგარიც, მაგრამ სპორტულმა მოედანმა რაღა დააშავა? მადლს თუ ვშვრებით, მარილიც მოვაყაროთ.

ამიტომ, ჩემი აზრით, პროექტის საბოლოო ვარიანტში ეს გარემოებაც უნდა იქნას გათვალისწინებული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს სპორტული ობიექტებიც მიემატოს.

**თამაზ ნიკოლაიშვილი,**
**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე.**

# ვინ დაიმსახურა მეხუთე საგზური?

**როგორც** ვიუწყებოდით, ალმა-ათაში დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატი.

ბოლო მე-17 ტურში გარდაბნელ ოსტატ ქეთევან კახიანს ზოია ლელჩუკთან (ლვოვი) შეხვედრაში ყაიმიც აძლევდა ხელს მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის ერთ-ერთი საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, დასანანი მარცხი იწვნია და 9,5 ქულით მეტოქესთან ერთად V-VI ადგილები გაინაწილა. 3 ნოემბერს მათ შორის 4 პარტიისაგან შემდგარი დამატებითი მატჩი დაიწყება. გამარჯვებული მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მეხუთე საგზურს მიიღებს.

ბოლო ტურში დამარცხდნენ აგრეთვე ნინო გურიელი — სვეტლანა მატვეევასთან (ფრუნზე) და ნინო მელაშვილი — თამარ კოგანთან (ჩიმკენტი). ნანა ალექსანდრიამ შავი ფიგურებით სძლია სვეტლანა პრუდნიკოვას (ნოვოსიბირსკი).

იულია დიომინასა (ნოვოსიბირსკი) და ირინა ჩელუშკინას (ლვოვი) შორის გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა.

**გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს:** I. იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი) — 12 ქულა, II-III. ირინა ჩელუშკინა (ლვოვი), სვეტლანა პრუდნიკოვა (ნოვოსიბირსკი) — 10,5-10,5, IV. ფლორა უსკოვა (ალმა-ათა) — 10, V-VI. ქეთევან კახიანი, ზოია ლელჩუკი (ლვოვი) — 9,5-9,5, VII-X. ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე), ლიუდმილა კულიკოვა (ერევანი) — 9-9, XI. აინურ სოფიევა (ბაქო) — 8,5, XII. ელმირა სახატოვა (ალმა-ათა) — 7,5, XIII. თამარ კოგანი (ჩიმკენტი) — 7, XIV-XVII. ნინო მელაშვილი, მარინა შერემეტიევა (კიშინიოვი), რაისა ეიდელსონი (ვიტებსკი), გულნარა სახატოვა (ალმა-ათა) — 6,5-6,5, XVIII. ელვირა ხოროვეცი (მინსკი) — 6.

ამრიგად, მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის საგზურები მოიპოვეს იულია დიომინამ, ირინა ჩელუშკინამ, სვეტლანა პრუდნიკოვამ და ფლორა უსკოვამ.

რაც შეეხება ნანა ალექსანდრიას, იგი ამ საზონათშორისო ტურნირში პერსონალურად არის დაშვებული როგორც პრეტენდენტთა ტურნირის წინა ციკლის მონაწილე. სხვათაშორის ამავე მიზეზით საქართველოს მოჭადრაკეებიდან ამ საზონათშორისო ტურნირში ასევე პერსონალურად დაშვებული არიან აგრეთვე ნანა იოსელიანი, ნონა გაფრინდაშვილი, ელენა ახმილოვსკაია და ქეთევან არახამია.

210/98 77

I ლიგის საგზურისათვის

# გამარჯვებით დაიწყეს

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 29 ოქტომბერი.**

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 4:1 (1:0).**

**„ტორპედო“: ჩხეიძე, პაპავა, თევზაძე, ბზიკაძე, ჩხაიძე (გიგატაძე), შენგელია, კიკლიაშვილი, გაბისკირია, ხარაბაძე (მეგრელაძე), დარასელია, კაჭარავა.**

**„ტრაქტორი“: კოლიაბინი, რილოვი, კადეიკინი, მალიუკი, ხავინი, გლადკიხი, კუჩეროივიხი, პროხეკოვი, შჩუტკინი, ანდრეიჩენკო, გონჩარენკო.**

**მსაჯი ა. გორინი (კიშინიოვი).**

**გააფრთხილეს კადეიკინი, მალიუკი.**

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებს წლევანდელი სეზონის ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი დაუდგათ. პირველ ლიგაში გადასასვლელად მათ მეტად მძიმე ბრძოლა ელით. მეტოქეებიც რომ სერიოზულად მოემზადნენ ამ შეხვედრებისთვის, პირველივე მატჩში ნოვოროსიისკის „ცემენტისა“ და პავლოდარის „ტრაქტორის“ შეხვედრაშიც დადასტურდა. ამ მატჩს ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი რ. ძოძუაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა. რომ ორივე გუნდი ფიზიკურად საუკეთესოდ არის მომზადებული, ორივე შემტევ ფეხბურთს თამაშობს, მიზანიც მათ ერთი აქვთ — გზა გაიკაფონ პირველი ლიგისაკენ, თუმცა, ჩვენც ეს მიზანი გვაქვს და მის შესრულებას მთელი რესპუბლიკა მოუთმენლად ელის.

ამ დიდმა ფსიქოლოგიურმა დატვირთვამ თავისი დაღი დაამჩნია თამაშის პირველ წუთებს, მასპინძლები ზედმეტად ნერვიულობდნენ, მათ მოქმედებაში იგრძნობოდა შებოჭილობა, ამიტომაც იყო, რომ პირველი სახიფათო შეტევა სტუმრებმა განახორციელეს, მეხუთე წუთზე მიზანთან ახლოს იყო ანდრეიჩენკო.

თუმცა, ეს იყო და ეს, ტორპედოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მალე აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და შემდგომში ენერგიულად ჩაატარეს მთელი მატჩი.

ქუთაისელთა უპირატესობამ შედეგი 37-ე წუთზე გამოიღო. ჩხაიძემ მარცხენა ფრთიდან ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა, აქ ყველას დაასწრო თევზაძემ და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

64-ე წუთზე მეგრელაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია, მას პირველმა მიუსწრო დარასელიამ და მეორედ აიღო სტუმართა კარი. ამ პერიოდში სტუმართა ერთადერთი კონტრშეტევა გოლით დამთავრა რილოვმა — 1:2. გაშვებული ბურთის შემდეგ ქუთაისელებმა მოუმატეს ტემპს, გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა მეგრელაძემ შესანიშნავად ითამაშა 85-ე და 87-ე წუთებზე — 4:1.

დღეს ტორპედოელები ნოვოროსიისკის „ცემენტს“ შეხვდებიან. ორივე გუნდს 2-2 გამარჯვება აქვს. იმედია, ქუთაისელები ამ შეხვედრაშიც არ დაიშურებენ ძალღონეს გამარჯვების მისაღწევად.

**თამაზ ხარაბაძე.**

**(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).**

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 35-ე ტურის შეხვედრები: „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:3, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 2:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:2, „ამირანი (ოჩამჩირე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (ზუგდიდი) 5:0, „არმაზი“ (მცხეთა)—„მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 6:2, „კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:3.

ახმეტის „ბახტრიონისა“ და ხაშურის „ივერიის“ მატჩი გადატანილია 30 ნოემბრისთვის.

## სტუმრად ქარელელ მშრომელებთან

**გულთბილი** შეხვედრა მოუწყვეს ქარელელმა მშრომელებმა თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელებს. სტადიონზე მოსული ფეხბურთის მოყვარულები გულთბილად ესაუბრებოდნენ მანუჩარ მაჩაიძესა და სლავა მეტრეველს, თამაზ კოსტავასა და გოჩა მაჩაიძეს, გივი ნოდიასა და ბორის სიჭინავას. ქარელელმა მშრომელებმა თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელებს სამახსოვრო სუვენირები უძღვნეს.

შემდეგ გაიმართა ამხანაგური მატჩი ქარელის ნაკრებსა და თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა შორის. მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2, თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გ. ჭილაიამ და ლ. ნოდიამ.

ვეტერანთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ დ. გოგია, თ. კოსტავა, ბ. სიჭინავა, ზ. ებრალიძე, ა. ილიადი, დ. ხუნდაძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ჯ. კოპალეიშვილი, ს. მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია, ბ. მჭედლიშვილი, კ. მჭედლიძე და დ. მუჯირი.

**ილია მჭედლიშვილი.**

# თბილისელთა უპირატესობით

**ზუგდიდში** დამთავრდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში. მასში მონაწილეობა მიიღო 1972 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ხუთმა კოლექტივმა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბათუმის, გაგრის, ქუთაისის, ზუგდიდისა და თბილისის დინამოელები.



კარგად ჩაატარეს ტურნირი თბილისელმა ფეხბურთელებმა (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე), რომლებმაც თანმიმდევრულად დაამარცხეს გაგრის — 4:1, ქუთაისის — 5:2, ბათუმის — 3:0 გუნდები. დააგროვეს 6 ქულა და გადამწყვეტ მატჩში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში მასპინძლებს, ზუგდიდელ ფეხბურთელებს შეხვდნენ.

საინტერესო ფინალური ბრძოლა თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს მ. მურმანიშვილმა და დ. გოდერძიშვილმა—2. თბილისელებმა პირველი ადგილი დაიკავეს და საპატიო პრიზს დაეპატრონნენ, მეორე ადგილზე ზუგდიდელი, ხოლო მესამეზე — გაგრელი ჭაბუკები გავიდნენ.

თბილისელთა გუნდი ასპარეზობისათვის მოამზადეს ა. ვეშაპიძემ და ა. ჯინჭარაძემ.

დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. ტურნირის საუკეთესო მეკარედ კ. ნაკობია (ზუგდიდი) დაასახელეს, საუკეთესო მცველის პრიზი თბილისელ ვ. გეგეშიძეს გადაეცა.

ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად ლ. გერგედავა მიიჩნიეს, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი კი მ. იზორიას გადაეცა (ორივე — ზუგდიდი), 6 გატანილი ბურთით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი ა. გელაძემ (თბილისი) მოიპოვა, საუკეთესო მოთამაშის პრიზი ასევე თბილისელ გ. ხოსროშვილს ხვდა წილად.

ასპარეზობის მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მონაწილეებს საუკეთესო პირობა შეუქმნეს დასვენებისა და თამაშების ჩატარებისთვის.

**ს უ რ ა თ ზ ე: „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს 1988 წლის პირველობაში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდი.**

**გ. დოლენჯაშვილის ფოტო.**

## საზღვარგარეთ თამაშობს... 500 იუგოსლაველი!

ეს საოცარი ცნობა იუგოსლავიის პრესამ გამოაქვეყნა. თურმე საზღვარგარეთ ახლა დაახლოებით 500 (!) იუგოსლაველი ფეხბურთელი თამაშობს, აქედან 97 გამოდის საბერძნეთში, 92 — ბელგიაში, 50 — გფრ-ში, 48 — ავსტრიაში, 46 — საფრანგეთში, 44 — თურქეთში, 22 — ავსტრალიაში, 12-12 — ინგლისსა და შვეიცარიაში, 10— შვეციაში და 5 — იტალიაში.

გულშემატკივრის რეპლიკა

# რას ფასობენ „ვარსკვლავები“?

**ამას** წინათ გაზეთში წავიკითხე, რომ კიევის „დინამოს“ მწვრთნელს ვალერი ლობანოვსკის შეეკითხნენ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ხმები ალექსეი მიხაილიჩენკოს იტალიაში გაყიდვის თაობაზე. „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დავკომპლექტდებით და ვის მოვიწვევთ გუნდში“, — ასეთი იყო კიეველთა ხელმძღვანელის პასუხი.

ამგვარი განცხადების შემდეგ ბევრი ჩვენი გუნდის მწვრთნელებს, ვფიქრობთ, გულმა რეჩხი უყო. მართლაც, ჩვენს ფეხბურთში შარშან უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: „დნეპრის“ შემადგენლობიდან, რომელსაც საბჭოთა ფეხბურთის ღირსების დაცვა ევალებოდა ევროპულ ტურნირში, კიევის „დინამოში“ გადაინაცვლა ორმა წამყვანმა მოთამაშემ, ბუნებრივია, უფასოდ. ამან საშუალება მისცა კიევის „დინამოს“, რომელიც ისედაც ღარიბი არაა საფეხბურთო „ვარსკვლავებით“, იტალიაში გაეყიდა ალექსანდრე ზავაროვი. 5 მილიონი დოლარიდან ორი მილიონი მიიღეს უშუალოდ მისმა ყოფილმა თანაკლუბელებმა. აი, ასეთი საინტერესო საფინანსო გარიგება მოხდა. კარგად „დაკომპლექტებული“ კიევის „დინამო“ ამჟამად კვლავ ჩვენი ქვეყნის პირველობის საუკეთესოთა შორისაა. მას არაფერი წაუგია.

იბადება კითხვა: რამდენი და რა ხარისხის მოთამაშეები უნდა მიიწვიოს კიევის „დინამომ“, რომ მიხაილიჩენკოს გაყიდვის საშუალება შეიქმნას? იტალიელებს, როგორც ლობანოვსკიმ თქვა, ეს ძვირი დაუჯდებათ. მაგრამ ჩვენს ფეხბურთს?

დროა, ხეირიანად გავერკვეთ საკუთარ საფეხბურთო მეურნეობაში! მით უმეტეს, რომ იგი ნელა და მძიმედ, მაგრამ მაინც გადადის სამეურნეო ანგარიშზე, თორემ რაღაც გაუგებრობა გამოდის — გარეშე საფეხბურთო ბაზარზე ჩვენ, როგორც პროფესიონალები, გამოვდივართ, მაგრამ კლუბების შინაურ ურთიერთდამოკიდებულებაში ჯერ კიდევ მეფობს სამოყვარულო წესები და მეტიც: ცნობილი ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი მეთოდები?

**ვ. ქერიმოვი.**

**„პრავდა“, 31 ოქტომბერი.**

# უეფა-ს სანქციები

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა განიხილა კონტინენტის საკლუბო ტურნირების პირველი რაუნდის შედეგები, იმსჯელა ამ მატჩებში მომხდარ დარღვევებზე და შესაბამისი სასჯელებიც გამოიტანა.

ცნობილია, რაც მოხდა ბელგრადის „პარტიზანისა“ და იტალიის „რომას“ მატჩში, რომელიც „პარტიზანმა“ ანგარიშით 4:2 მოიგო. ერთ-ერთმა მაყურებელმა ბელგრადის სტადიონის ტრიბუნიდან ლითონის მძიმე ნივთი ესროლა იტალიელ ფეხბურთელს ჯ. ჯიანინის, თავში მოახვედრა და უგონო მდგომარეობაში ჩააგდო. უეფა-ს სადისციპლინო კომისიის გამოძიება ყველაფერს დაადგენს და თუ ბელგრადის სტადიონზე მომხდარი დარღვევა მასპინძელთა ბრალი აღმოჩნდა, „პარტიზანს“ წაგება ჩაეთვლება — 0:3.

დიდი ფულადი თანხით დააჯარიმეს საბერძნეთის კლუბები. აქაური პაოკ-ი დააჯარიმეს 20 ათასი შვეიცარიული ფრანკით მაყურებელთა უდისციპლინობის გამო იტალიის „ნაპოლისთან“ შეხვედრის დროს. თამაში რამდენიმეჯერ შეწყდა, ვინაიდან ტრიბუნებიდან მინდორზე ისროდნენ სხვადასხვა საგნებს. 10 ათასი ფრანკით დაჯარიმდა საბერძნეთის „ლარისაც“, მიზეზი აქაც მაყურებელთა არასპორტული საქციელია. 10-10 ათასი ფრანკით დააჯარიმეს დასავლეთ გერმანიის „აინტრახტი“ და შვეიცარიის „გრასჰოპერსი“, აქაც მაყურებელთა უსაქციელობის გამო.

არის ინდივიდუალური სასჯელებიც. იტალიის „რომასა“ და დასავლეთ გერმანიის „ნიურნბერგის“ მატჩში მინდვრიდან გააძევეს იტალიელი რიციტელი, მას ევროპის თასების შემდგომ 3 მატჩში აეკრძალა მონაწილეობა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის „ვერდერის“ მწვრთნელი ო. რეჰაგელი ორი მატჩით დისკვალიფიცირებულია ბერლინის „დინამოსთან“ მატჩში არაკორექტული საქციელისთვის.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები:

### იტალია

**II ტური.** „ლეჩე“ — „ნაპოლი“ 1:0, „ატალანტა“ — „ვერონა“ 2:2, „ლაციო“ — „ტორინო“ 1:1, „ინტერი“ — „პესკარა“ 4:1, „ბოლონია“ — „რომა“ 0:1, „ფიორენტინა“ — „ასკოლი“ 2:1, „იუვენტუსი“ — „ჩეზენა“ 2:2, „პესკარა“ — „მილანი“ 1:3, „სამპდორია“ — „კომო“ 2:0.

4-4 ქულა აქვთ: „მილანს“, „ინტერსა“ და „სამპდორიას“.

### ესპანეთი

**VII ტური.** „კადისი“ — „მალაგა“ 0:1, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ესპანიოლი“ 6:1, „სევილია“ — „ელჩე“ 4:1, „ბილბაო“ — „ვალენსია“ 1:2, „ლოგრონესი“ — „ოსასუნა“ 1:1, „ვიგო“ — „სპორტინგი“ 2:1, „მურსია“ — „სან სებასტიანი“ 0:1, „ბარსელონა“ — „ბეტისი“ 3:0, „ოვიედო“ — „სარაგოსა“ 1:1, „ვალიადოლიდი“ — „რეალი“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბარსელონა“** | 7 | 15-2 | 12 |
| **„რეალი“** | 7 | 16-7 | 11 |
| **„სელტა ვიგო“** | 7 | 10-6 | 10 |

გაიმართა შარშანდელი სუპერთასის გათამაშება: „რეალი“ — „ბარსელონა“ 2:0; 1:2. სუპერთასი „რეალს“ დარჩა.

### ინგლისი

**გამოტოვებული მატჩები:** „ჩარლტონი“ — „ასტონ ვილა“ 2:2, „ქოვენთრი“ — „მილუოლი“ 0:0, „ქუინს პარკი“ — „ვესთ ჰემი“ 2:1.

| | | |
|---|---|---|
| **„ნორვიჩი“** | 16 | ქულა |
| **„მილუოლი“** | 15 | ქულა |
| **„ქოვენთრი“** | 13 | ქულა |

### გფრ

**გამოტოვებული მატჩები:** „ბაიერნი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 1:1, „სენტ პაული“ — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) 1:1.

| | | |
|---|---|---|
| **„შტუტგარტი“** | 13 | ქულა |
| **„ბაიერნი“** | 13 | ქულა |
| **„ჰამბურგი“** | 12 | ქულა |

### საფრანგეთი

**XVI ტური.** „სენტ ეტიენი“ — „ლილი“ 2:0, „ნიცა“ — „ოსერი“ 1:0, „სტრასბურგი“ — „ტულონი“ 2:1, „რესინგი“ — „სენ ჟერმენი“ 0:2, „მარსელი“ — „კაენი“ 4:2, „ლავალი“ — „მონაკო“ 0:0, „ლანი“ — „მეცი“ 0:2, „ბორდო“ — „ნანტი“ 5:0, „სოშო“ — „ტულუზა“ 2:2, „მონპელიე“ — „კანი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„სენ ჟერმენი“** | 16 | 23-11 | 33 |
| **„ოსერი“** | 16 | 23-14 | 30 |
| **„მარსელი“** | 16 | 26-18 | 30 |

### უნგრეთი

**X ტური.** „ვაშაში“ — „პეჩი“ 1:2, „ვაკი“ — „ჰონვედი“ 2:2 (3:4), „დუნაივაროში“ — „სომბათჰეი“ 2:4, „დოჟა“ — „ზალაეგერზეგი“ 2:1, „ვესპრემი“ — „ბეკეშჩაბა“ 0:0 (2:3), „ფერენცვაროში“ — „რაბა ეტო“ 2:1, „სიოფოკი“ — მტკ 1:1 (1:3), „ვიდეოტონი“ — „ტატაბანია“ 3:0.

| | | |
|---|---|---|
| **„ვიდეოტონი“** | 10 | 23 |
| **მტკ** | 10 | 21 |
| **„ფერენცვაროში“** | 10 | 19 |

### ბულგარეთი

**IX ტური.** „თრაკია“ — „ლოკომოტივი“ (სოფია) 1:0, „სრედეცი“ — „სლივენი“ 7:1, „ვრაკა“ — „ვიტოშა“ 3:1, „პერნიკი“ — „ველიკო ტირნოვო“ 1:1, „ორიახოვიცა“ — „პირინი“ 1:0, „სპარტაკი“ (სოფია) — „ჩერნო მორე“ 1:1, „რუსე“ — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) 2:0, „სლავია“ — „ბეროე“ 5:1.

| | | |
|---|---|---|
| **„სრედეცი“** | 9 | 16 |
| **„ველიკო ტირნოვო“** | 9 | 12 |
| **„ჩერნო მორე“** | 9 | 12 |

### ავსტრია

**XVI ტური.** „ვიენა“ — „კლაგენფურტი“ 2:0, „ადმირა“ — „ლასკი“ 3:1, „შტურმი“ — „აუსტრია“ 2:1, „ტიროლი“ — „შტეირი“ 3:0, „რაპიდი“ — „გრაცერი“ 4:0, „სენტ პოლტენი“ — „ვინერ სკ“ 2:1.

| | | |
|---|---|---|
| **„ტიროლი“** | 16 | 23 |
| **„აუსტრია“** | 15 | 22 |
| **„ადმირა“** | 16 | 22 |

### შვეიცარია

**XV ტური.** „ლოზანა“ — „ბელინცონა“ 2:2, „ლუცერნი“ — „ბერნი“ 1:3, „ქსამაქსი“ — „არაუ“ 1:1, „ვეტინგენი“ — „სიონი“ 1:1, „სერვეტი“ — „გრასჰოპერსი“ 2:1, „ლუგანო“ — „სენტ გალენი“ 3:1.

| | | |
|---|---|---|
| **„ლუცერნი“** | 15 | 20 |
| **„გრასჰოპერსი“** | 15 | 18 |
| **„სიონი“** | 15 | 18 |

### რუმინეთი

**X ტური.** „ბაკაუ“ — „ორადეა“ 1:0, „ჰუნედოარა“ — „კრაიოვა“ 0:0, „სტიაუა“ — „რაპიდი“ 2:0, „კონსტანცა“ — „არჯესი“ 0:1, „მორენი“ — „ვიქტორია“ 3:2, „ბრაშოვი“ — „სპორტული“ 4:2, „ტირგუ მურეში“ — „კლუჟი“ 1:1, „ოლტი“ — „სიბიუ“ 6:0.

| | | |
|---|---|---|
| **„დინამო“** | 10 | 20 |
| **„სტიაუა“** | 10 | 20 |
| **„ვიქტორია“** | 10 | 13 |

### პორტუგალია

**IX ტური.** „სპორტინგი“ — „ბოავისტა“ 1:1, „ამადორა“ — „პანაფელი“ 2:1, „სეტუბალი“ — „ესპინიო“ 2:1, „ნაკ. ფუნჩალი“ — „გიმარაეში“ 1:1, „ბეირა“ — „მარიტიმო ფუნჩალი“ 3:2, „შავიში“ — „პორტიმონენსე“ 0:0, „ბრაგა“ — „კოიმბრა“ 0:1, „ლეიქოეში“ — „ფარენსე“ 1:0, „პორტო“ — „ბელენენსეში“ 1:0, „ფაფე“ — „ბენფიკა“ 0:2.

| | | |
|---|---|---|
| **„ბენფიკა“** | 9 | 15 |
| **„პორტო“** | 9 | 14 |
| **„სპორტინგი“** | 9 | 14 |

### ჰოლანდია

**IX ტური.** „ვოლენდამი“ — „სიტარდი“ 0:2, „მაასტრიჰტი“ — „დენ ბოში“ 0:2, „უტრეხტი“ — „ტილბურგი“ 0:2, „ეინდჰოვენი“ — „ცვოლე“ 2:0, „ვალვიკი“ — „სპარტა“ 2:2, „კერკრადე“ — „ტვენტე“ 1:1, „ჰარლემი“ — „აიაქსი“ 1:2, „გრონინგენი“ — „ვეენდამი“ 1:3.

| | | |
|---|---|---|
| **„ეინდჰოვენი“** | 9 | 15 |
| **„ტვენტე“** | 9 | 13 |
| **„როდა კერკრადე“** | 9 | 12 |

**(საქ. ინფ.).**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# წარუმატებელი სტარტი

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 29 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 80:100 (38:54).

**„დინამო":** ვაშაკიძე (16), კროპაჩოვი (15), ტიუბინი (13), შენგელია (10), დარსაძე (10), ბოროდაჩოვი (10), თორთლაძე (6), სანაძე.

**„სტროიტელი":** პოდკოვიროვი (21), ვოლკოვი (16), შაპტალა (15), დოლგოვი (12), შევჩენკო (10), მურზინი (6), პინჩუკი (6), სილვესტროვი (5), ორეხოვი (5), ლევიცკი 4), კოვტუნი.

**მსაჯები:** ვ. შამიხი (ლენინგრადი) და მ. გრიგორიევი (მოსკოვი).

ასეთი წარუმატებელი სტარტი საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს" თუ არ ვცდებით, არ ჰქონია. ექვსი შეხვედრა შინ, საკუთარ მოედანზე და მხოლოდ ერთი გამარჯვება — პერსპექტივა, რაღა დაგიმალოთ, ერთობ უღიმღამოა, და, როგორც ჩანს, საგანგებო ზომებს მოითხოვს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სტარტზე თბილისელებს საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოუხდათ თამაში — შარშანდელ ჩემპიონთან და ბრინჯაოს პრიზიორთან.

პარასკევს „დინამოს" შეეძლო წარმატებაზე ფიქრი. „სტროიტელთან" მატჩის პირველ ნახევარში იგი 17 ქულით იყო დაწინაურებული და შეხვედრის ბედი თითქოს ეჭვს არ იწვევდა, აი, მეორე დღეს კი მეტოქეებმა როლები გაცვალეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თბილისელებმა „სტროიტელის" მსგავსად ბრძოლის გადარჩენა ველარ შესძლეს და დამარცხდნენ.

შაბათის მატჩში „დინამოს" პრობლემები უფრო ნათლად, უფრო მწვავედ წარმოჩნდა. ეს, პირველ რიგში, დაცვის თამაშს შეეხება, ჯერჯერობით ყველაზე სუსტ რგოლს გუნდში. თუმცა, ჩავარდნები დინამოელებს თავდასხმაშიც ჰქონდათ, განსაკუთრებით მეტოქის ფარქვეშ. ყველაზე მეტად საგანგაშო კი ის გახლავთ, რომ „დინამოში" თამაშის მთელი სიმძიმე ფაქტიურად ერთ შემადგენლობაზე, ხუთ-ექვს კალათბურთელზე გადადის.

ამ მხრივ „სტროიტელის" მწვრთნელი ვიქტორ ბოჟენარი აშკარად უფრო ხელსაყრელ პირობებში იყო. სად თერთმეტი კალათბურთელის მუდმივი მონაცვლეობა მოედანზე და სად ერთი ხუთეულით თამაში. არაფერი რომ ვთქვათ ნერვიულ დაძაბულობაზე, ჯერ ფიზიკურადაც შეუძლებელია ასეთ პირობებში ერთნაირი დატვირთვით ბრძოლა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს მხოლოდ მცირე ხნით ეყოთ ძალა და ენერგია. მერე გუნდი გატყდა და ბრძოლა ფაქტიურად ინერციით დაამთავრა — ბედს თბილისელები უკვე შერიგებულნი იყვნენ.

2 ნოემბერს თბილისის „დინამოს" უეფა-ს თასზე მოუხდება თამაში, მერე კი ორი ძნელი გასვლა აქვს დონეცკსა და მოსკოვში. 4-5 ნოემბერს იგი „შახტიორს" ეთამაშება, 2-3 დეკემბერს კი მოსკოვის „დინამოს". დონეცკისა და მოსკოვის მატჩებს შორის თითქმის ერთთვიანი ინტერვალია. ამ ხნის მანძილზე გუნდს ალბათ ბევრი რამ ექნება გასათვალისწინებელი.

**ნოდარ ახვლედიანი.**

### სხვა მატჩები

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**ალმა-ათა.** ადგილობრივი არმიელებისა და ცსკა-ს პირველ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო — 106:81 (55:40). სტუმართა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ვალერი გობოროვი გახლდათ, რომელმაც თავის კოლექტივს 26 ქულა შესძინა.

განმეორებით მატჩში ალმაათელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, რომელიც დათმეს მხოლოდ ორი ქულით (47:49). ბრძოლა შესვენების შემდეგაც მძაფრი იყო და ცსკა-მ საკმაოდ ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 91:85.

**ლენინგრადი.** „სპარტაკმა" მეხუთე ტურში მინსკის რადიოტექნიკის კალათბურთელებს უმასპინძლა და დაამარცხა იგი 82:77 (36:39).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 6 | 0 | 612-491 | 12 |
| „დინ." (მოსკ.) | 8 | 4 | 4 | 802-783 | 12 |
| ასკ (ალმა-ათა) | 8 | 4 | 4 | 784-770 | 12 |
| „სტროიტ." (კ.) | 6 | 5 | 1 | 563-532 | 11 |
| რტი (მინსკი) | 5 | 4 | 1 | 438-413 | 9 |
| „სტატ." (ვილ.) | 6 | 3 | 3 | 583-519 | 9 |
| „კალევი" (ტალ.) | 6 | 2 | 4 | 508-524 | 8 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 4 | 3 | 1 | 410-388 | 7 |
| „სპარ." (ლენ.) | 5 | 2 | 3 | 391-438 | 7 |
| „დინ." (თბ.) | 6 | 1 | 5 | 526-588 | 7 |
| ვეფ (რიგა) | 6 | 1 | 5 | 520-613 | 7 |
| „შახტ." (დონ.) | 4 | 0 | 4 | 332-410 | 4 |



# დებიუტი კორაჩის თასზე

**2 ნოემბერს** საბერძნეთის კლუბ ოლიმპიაკოსთან" მატჩით შედგება თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა დებიუტი რ. კორაჩის თასზე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გუნდი ევროპული ტურნირების ძველი მონაწილეა. 1962 წელს თბილისის „დინამო" ფლობდა ჩემპიონთა თასს, ხოლო 1960 წელს გავიდა ამავე ტურნირის ფინალში. 1969 წელს თბილისის „დინამო" იყო პირველი საბჭოთა კლუბი, რომელმაც თასების მფლობელთა თასის ფინალში ითამაშა. ბოლო მატჩი ევროპულ ტურნირებში თბილისელებმა 1970 წლის 26 მარტს ნეაპოლის „ფიდესთან" ჩაატარეს.

ცნობილი იუგოსლავიელი კალათბურთელის რადივოე კორაჩის თასი დაარსდა 1972 წელს იუგოსლავიის კლუბის „ოკკ ბელგრადის" ინიციატივით, რომლის ღირსებასაც წლების მანძილზე წარმატებით იცავდა კორაჩი. ამ ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია თითოეული ქვეყნიდან ოთხ უძლიერეს კლუბს, რომლებიც არ მონაწილეობენ ჩემპიონთა თასის და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. წინასწარი თამაშები ტარდება ოლიმპიური სისტემით. შემდეგ მეოთხედფინალში 16 გუნდი ოთხ ჯგუფად დაიყოფა. თამაშები ტარდება წრიული სისტემით. შინ და გარეთ. ნახევარფინალში გადის მხოლოდ ჯგუფურ ტურნირში გამარჯვებული.

რ. კორაჩი დაიბადა 1938 წლის 5 ნოემბერს. თამაში დაიწყო „ოკკ ბელგრადის" შემადგენლობაში. კორაჩის ბრწყინვალე თამაშის წყალობით ეს გუნდი ოთხჯერ გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი. აღსანიშნავია, რომ დღემდე განუმეორებლად რჩება კორაჩის სნაიპერული მიღწევები — შვიდჯერ იყო იუგოსლავიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი. მან პირველმა გადალახა ჯერ 500-ქულიანი, შემდეგ კი 600-ქულიანი ზღვარი. საუკეთესოდ რჩება კორაჩის შედეგი ერთ მატჩში. 1965 წელს შვეციის კლუბ „ალვიკ ბლომასთან" მან თავის გუნდს 99 ქულა შესძინა.

წარმატებით გამოდიოდა კორაჩი იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაშიც. ორჯერ იყო ევროპის, ორჯერაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 1968 წელს მეხიკოში კი იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ვერცხლის პრიზიორი გახდა. აღსანიშნავია, რომ 1965 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩატარდა, კორაჩმა თბილისშიც ითამაშა. როგორც ცნობილია, კორაჩის სიცოცხლე ტრაგიკულად შეწყდა. იგი დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1969 წლის 2 ივლისს: წვიმიან ამინდში ბელგრად-სარაევოს გზატკეცილის მეთორმეტე კილომეტრზე კორაჩის მანქანა მოცურდა და დაეტაკა საპირისპირო მიმართულებით მიმავალ ტრანსპორტს.

საბჭოთა გუნდებს კორაჩის თასის გათამაშებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. საუკეთესო შედეგი ჰქონდა მოსკოვის „დინამოს", რომელიც ორჯერ 1981 და 1983 წლებში კორაჩის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

რ. კორაჩის თასზე წარმატებას ტრადიციულად იტალიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის კლუბები აღწევენ. თავდაპირველად 70-იან წლებში იუგოსლავიის და იტალიის კალათბურთელთა ჰეგემონიის ხანა იყო. შემდეგ მათ დავაში აქტიურად ჩაებნენ ესპანეთის და საფრანგეთის გუნდები, რომლებმაც თავიანთი ამერიკელი ვარსკვლავების წყალობით იუგოსლავიის კლუბების შევიწროება შეძლეს. ყველაზე მეტჯერ (6-ჯერ) კორაჩის თასს იტალიის კლუბები ფლობდნენ. ხუთჯერ იუგოსლავიის, სამჯერ ესპანეთის და საფრანგეთის გუნდები.

დასასრულს გაგაცნობთ კორაჩის თასის ყველა მფლობელს: ზაგრების „ლოკომოტივი" (1972), „ფორსტ კანტუ" (1973, 1974, 1975), „იუგოპლასტიკა" (1976, 1977), „პარტიზანი" (1978, 1979), „სებასტიან არიგონი" (1980), „ჰუვენტუდ ბადალონა" (1981), „ლომოჟი" (1982, 1983), „ელან ბერნე" (1984), ოლიმპია-სიმაკი" (1985), „ბანკო დი რომა" (1986), „ბარსელონა" (1987), „რეალი" (1988).

**მერაბ კალანდაძე.**

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 44-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო" 6 45"-დან:** 4 (კრივი), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 40 (რიკაობა).

**„სპორტლოტო" 5 36"-დან:** 1 (კალათბურთი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი). 34 (ბალახის ჰოკეი).

# მასწავლებლის ხსოვნას

**მასწავლებლობა** იმ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის წარმომადგენლებიც ერთხელ არჩეულ საქმეს კი არა, ერთხელ არჩეულ სასწავლებელსაც იშვიათად თუ უღალატებენ. ნამდვილი უღალატო პედაგოგიაო, ალბათ ასეთებზე ამბობენ.

რამდენიმე ათეული წელი იღვაწა ჩვენს ფიზკულტურის ინსტიტუტში ლუარსაბ შუბლაძემ, კაცმა, რომელმაც სიცოცხლის 80 წლის მანძილზე ბევრი რამ გადაიტანა, მათ შორის სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეები.

სასწავლებლებში ყოველთვის არიან გამორჩეული პედაგოგები, არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმით, არამედ კაცობით, ადამიანური ღირსებებით. ბატონმა ლუარსაბმა ბევრ თაობას სწორედ ასეთი თვისებებით დაამახსოვრა თავი. ის ჰუმანისტი კაცი იყო, ამ სიტყვის კარგი გაგებით — ინსტიტუტის ენების კათედრას ედგა სათავეში. სხვები თუ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საფუძვლების ცოდნას მოითხოვდნენ, ის მშობლიურ ენაზე გამართულ წერა-კითხვის ჩვევებს უნერგავდა სტუდენტებს, უცხო ენის ცოდნა კი სხვა ხალხებთან ურთიერთობის აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, განსაკუთრებით სპორტსმენებისთვის.

ამ სამი წლის წინათ ვალმოხდილი წავიდა ინსტიტუტიდან, მაგრამ მაინც ამ სასწავლებლის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი წარმატებებით ხარობდა, სიცოცხლის ბოლო დღემდე საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ერთგული მეგობარი დარჩა.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი,**
**გაზეთ „ლელოს" რედაქცია.**

### ინფორმაცია

**ბრაიტონი** (ინგლისი). მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა ქალმა შტეფი გრაფმა (გფრ) მოიგო აქ დამთავრებული საერთაშორისო ტურნირი. ფინალში მან დაამარცხა ბულგარელი მანუელე მალეევა — 6:2, 6:0.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე**



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**(ა. წერეთლის გამზ. № 2)**

3 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)**

დასაწყისი 18.30 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 1 ნოემბრიდან 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 2 და 3 ნოემბერს.

აბონემენტების მფლობელებს ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა შედგება 4 ნოემბერს, დასაწყისი 16 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში გაიმართება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.

# სპორტული ნოემბერი

**1-6. საგზატკეცილო ველორბოლა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. (მრავალდღიანი რბოლა). **ვანი.**

**2. XI. კალათბურთი.** კორაჩის თასზე. **თბილისი.**

**3-6. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი — ფინალი. **თბილისი.**

**3-8. საცხენოსნო სპორტი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი ეროვნულ სახეობებში. **ოჩამჩირე.**

**4-6. აკადემიური ნიჩბოსნობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **ფოთი.**

**5-8. ხამბო.** პირველობა „ლელოს" პრიზის გათამაშებაზე 1973-1975 წლებში დაბადებულთა შორის. **საგარეჯო.**

**9-13. წყალში ხტომა.** რესპუბლიკური პირველობა. 1 მ ტრამპლინიდან და 5 მ კოშკიდან ხტომაში (ქალები და ვაჟები). **თბილისი.**

**10-13. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა. IV ტური. I ლიგა. **თბილისი.** II ლიგა — **აბაშა,** III ლიგა — **ამბროლაური.**

**10-13. ძალოსნობა.** გ. ჩიკვაიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის გათამაშება. **თელავი.**

**10-25. შაში.** სსრ კავშირის ჩემპიონატი მამაკაცთა შორის საერთაშორისო შაშში. I ლიგა. **თბილისი.**

**11-13. საბაიდარო ნიჩბოსნობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **ფოთი.**

**11-14. ქართული ჭიდაობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. I ზონა. **ცხინვალი.**

**11-14. წყალბურთი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი I ლიგის გუნდებს შორის. 2 წრე. 6 ტური. **თბილისი.**

**11-18. საიალქნო სპორტი.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **ფოთი.**

**11-21. რაგბი.** სსრ კავშირის ჩემპიონატის გადასასვლელი ტურნირი. **ჭიათურა.**

**14-18. სასტენდო სროლა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **მახარაძე.**

**14-19. წყალბურთი.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **თბილისი.**

**16-18. ბატუტზე ხტომა.** რესპუბლიკური პირველობა საქართველოს კომკავშირის პრიზზე IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით. **თბილისი.**

**16-20. საგზატკეცილო ველორბოლა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. რბოლა გზატკეცილზე. **თბილისი.**

**17-20. თავისუფალი ჭიდაობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **ქუთაისი.**

**17-22. კალათბურთი.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები (ჭაბუკთა შორის). **სამტრედია.**

**18-21. ქართული ჭიდაობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. 2 ზონა. **ცხაკაია.**

**18-22. სამბო.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. ფინალი. **სოხუმი.**

**21-26. თანამედროვე ხუთჭიდი.** რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სსრ სპორტსახკომის პრიზზე. **თბილისი.**

**21-28. ფარიკაობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **სოხუმი.**

**23-27. კლასიკური ჭიდაობა.** რესპუბლიკური ტურნირი ჭაბუკებს შორის რ. აბაშიძის პრიზზე. **ბათუმი.**

**25-28. აკრობატიკა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **ბათუმი.**

**25-28. ქართული ჭიდაობა.** IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. ფინალი. **ვანი.**

**30.XI-4.XII. ხელბურთი.** საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. **თბილისი.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93.97.55, სამდივნო — 93.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 93.97.53, „მერანი" — 93.97.26, „მართვე" — 93.97.27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05581**